# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/10/01

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2012

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ სულამანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაგთიკომი" (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (მუხლი 10[1], მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი) და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის №2045 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, დამკვეთისთვის, მობილური (ფიჭური) GSM ოპერატორით მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 მიმწოდებლის მიერ დამკვეთისთვის გამოყოფილ სააბონენტო ნომრებზე (SIM- ბარათებზე) ან/და დამკვეთის მფლობელობაში არსებულ დაპორტირებულ სააბონენტო ნომრებზე (შემდგომში „კორპორაციული ნომრები") მინიმუმ 30 (ოცდაათი) ნომერზე მობილური (ფიჭური) GSM ოპერატორით მომსახურება 900/1800 MHz დიაპაზონზე საქართველოს ფარგლებში (და საქართველოს ფარგლებს გარეთ როუმინგული მომსახურება). დაფარვის ზონა საქართველოს დედაქალაქი, ავტონომიური რესპუბლიკები (აჭარა, ზემო აფხაზეთი) და ყველა რეგიონი (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი).

1.3 მომსახურების დეტალური აღწერილობა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. ხელშეკრულების დანართი №1 (3 გვერდი)).

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 630 (ექვსასოცდაათი) ლარს (დ.ღ.გ. ჩათვლით).

2.3 2.2 მუხლში აღნიშნული თანხა შეძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) დამკვეთის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

2.4 მომსახურების ტარიფების ჩამონათვალი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. ხელშეკრულების დანართი №1 (3 გვერდი)).

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი*

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2013 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

5.1 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს წარმოუდგინოს ანგარიშ-ფაქტურით განსაზღვრული თანხის შესაბამისი დანართი (ანგარიში), რომლშიც შეიცავს ინფორმაციას სააანგარიშო თვის განმავლობაში ქსელში ჩართული ნომრებისა და ლიმიტით მოსარგებლე აბონენტების მიერ გახარჯული თანხის რაოდენობის შესახებ.

## *6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება კორპორაციულ ნომრების ანგარიშზე გაწეული მომსახურების საფასურის დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანების შემდეგ, არაუგვიანეს სააანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. (ხელშეკრულების დანართი №1 (3 გვერდი)).

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს დამკვეთს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 კალენდარული თვის ნებისმიერ რიცხვში წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნულ თვეში განხორციელებული მომსახურების კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა სრულად.

6.5 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
- დამკვეთს უფლება აქვს, მიმწოდებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით (ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია დამკვეთის ოფიციალურ ბლანკზე, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით შეტყობინებინების მეორე მხარისათვის მიწოდება ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, იმ პირობით რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან შეთანხმებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით) დაამატოს კორპორატიული ნომერი ან კონკრეტულ კორპორატიულ ნომერზე შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეცვალოს წინამდებარე შეთანხმების პირობების მოქმედება.

7.2 დამკვეთი ვალდებულია:

- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
- 7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- დამკვეთისთვის გამოყოფილ სააბონენტო ნომრებზე (SIM- ბარათებზე) ან/და დამკვეთის მფლობელობაში არსებულ დაპორტირებულ სააბონენტო ნომრებზე (შემდგომში „კორპორაციული ნომრები") წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მობილური სატელეფონო მომსახურების გაწევა, ამასთან დამკვეთის დავალების მიხედვით SIM- ბარათების დამზადება და დამკვეთისთვის (უსასყიდლოდ) გადაცემა მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის დროსაც მომსახურება უნდა დაიწყოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული SIM - ბარათის ქსელში ჩართვისთანავე (გააქტიურებისთანავე). მიმწოდებლის გადაცემულ და დამკვეთის მფლობელობაში არსებულ დაპორტირებულ ნომერებზე უნდა იყოს ჩართული კორპორაციული შიდა ქსელი. ჯგუფის შიგნით (კორპორაციული ნომრები) შიდა ქსელზე უნდა ვრცელდებოდეს საუბარი შეუზღუდავად (ულიმიტოდ).

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 იანვირს ჩათვლით.

9.2. ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს ვადაზე ადრე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის №2045 განკარგულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობების დადგომის დროს.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება

ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## *11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. სხვა პირობები*

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გახმაურება ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში და ასევე, მოქმედების ვადის გასვლიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.
14.2 შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარემ მისამართი შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა მეორე მხერეს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.
14.3 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.4 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.5 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი დამკვეთთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**დამკვეთი:**

ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
მის: ქ. თბილისი შარტავას ქ. №7
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა№GE48LB0115140326331000
ს/კოდი: 404905475

**სააგენტოს დირექტორი**

რამაზ სულამანიძე

**შემსრულებელი:**

შ.პ.ს. „მაგთიკომი"

მის: ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. №5
ს.ს "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE 66BG 0000000241607901
ს/კოდი: 204876606

**შ.პ.ს. „მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე**

გია კოშორიძე

*დანართი №1 შპს მაგთიკომსა და ქ. თბილისის მერიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე*

## მომსახურებები და მათი საფასური

| | |
|---|---|
| *კორპორატიული ტარიფი თითოეულ სატელეფონო ნომერზე თვეში* | 0.7 ლარი დღგ-ს ჩათვლით |
| *მიმართულება* | *1 წუთის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით* |
| ჯგუფის შიგნით შეუზღუდავი ზარი | 0 |
| მაგთიკომის ქსელი (მაგთი;ბალი;ბანი;) | 0 თეთრი * |
| საქართველოს ნებისმიერი სხვა ქსელის მიმართულებით განხორციელებული ზარები | 10 თეთრი * |
| როუმინგის შემომავალი ზარი | 77% ფასდაკლება * * |
| საერთაშორისო მიმართულებით განხორციელებული ზარები (კოდი 00 ან +) | 40% ფასდაკლება ყველა საერთაშორისო მიმართულებაზე * * * |

* ზარის წამოწყების ღირებულება 5 თეთრი

** ტარიფი შესაძლოა მცირედით აღემატებოდეს მოცემულს, იმ შემთხვევაში თუ საზღვარგარეთ მომსახურე ოპერატორს დაწესებული აქვს ან მომსახურების პერიოდში დააწესებს დამატებით ტარიფს შემავალ ზარზე.

***აღნიშნულ მიმართულებებში არ შედის სატელიტური ოპერატორების მიმართულებით განხორციელებული ზარები. ტირიფები იხილეთ მაგთიკომის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე **www.magticom.ge**

მომსახურებისათვის დამკვეთი, ყოველთვიურად, თითოეულ კორპორაციულ ნომერზე მიმწოდებელს გადაუხდის კორპორატიულ ტარიფს. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხას დამკვეთი მიმწოდებელს გადაუხდის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

## *დამატებითი მომსახურება*

| მომსახურება | ლარი დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|
| როუმინგული მომსახურება | უდეპოზიტო |
| მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლა | -- |
| მფლობელის შეცვლა | -- |
| დეტალური ანგარიში | -- |
| ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინება **(sms)** | 0.02 ლარი* |
| ნომრის დაფარვის დღიური სააბონენტო | -- |
| სმს მდივანის დღიური სააბონენტო | -- |
| ნომრის ამომცნობის დღიური სააბონენტო | -- |
| ერთი მულდიმედიური შეტყობინება **(mms)** | 0.10 ლარი** |
| **WAP/GPRS** ინტერნეტი, 1 მ/ბ ინფორმაციის მიღება/გაგზავნა | 0.35 ლარი |
| სიმ ბარათის გამოცვლა | -- |

***3G** და **GPRS** ინტერნეტი*

| მ/ბ რაოდენობა | ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|
| 30 მბ. | 3 |
| 500 მბ. | 10 |
| 1000 მბ. | 12 |
| 5000 მბ. | 25 |
| 15 000 მბ. | 45 |

* საერთაშორისო მიმართულებით გაგზავნილი 1 მოკლე ტექსტური შეტყობინების (**SMS**) გაგზავნის ღირებულება განისაზღვრება 0.06 ლარიდან 0.24 ლარამდე.
** საერთაშორისო მიმართულებით გაგზავნილი 1 მულტიმედიური შეტყობინების ღირებულება განისაზღვრება 1 ლარიდან 1.5ლარამდე.

იმ დამატებითი მომსახურებების ჩართვა, რომელიც არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ ცხრილში, ასევე ხორციელდება კორპორატიული ტარიფის ფარგლებში დამატებითი საფასურის გარეშე.

მიმწოდებელი დამკვეთის მიერ მიწოდებულ სატელეფონო ნომრებს გააერთიანებს 4(ოთხი) აბონენტთა კორპორაციულ ნომრების ჯგუფში.

## ჯგუფების სახეობები და ანგარიშსწორება ჯგუფების მიხედვით

| მომსახურების სახეობა | ჯგუფი 1 | ჯგუფი 2 | ჯგუფი 3 | ჯგუფი 4 |
|---|---|---|---|---|
| კორპორაციული ნომრიდან განხორციელებული ზარების საფასური და დამატებითი მომსახურება | ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე და როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ზარებზე და როუმინგული მომსახურებაზე) მთლიანად, ხორციელდება მომხმარებლის მიერ შემდგომი გადახდის პირობით. | ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე და თითოეულ კორპორაციულ ნომერზე მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში ხორციელდება მომხმარებლის მიერ. მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. | ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე ხორციელდება მომხმარებლის მიერ. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. | ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე განხორციელდება კორპორაციული ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომერს ჩამოეჭრება ეტაპობრივად, კალენდარულ თვეში არსებული დღეების პროპორციულად. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით |

მომხმარებელი ვალდებულია 1 კორპორაციულ ჯგუფში სრულად და მე-2 კორპორაციულ ჯგუფში შეთანხმებული თანხის ფარგლებში კორპორაციულ ნომრების ანგარიშზე გაწეული მომსახურების საფასურის დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანება დაფაროს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.